


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

**№ 10.** თებერვალი 26 1895 წ. **№ 10.**

შინაარსი: ორიოდ სიტყვა სალიტერატურო ფონდზე. **N. N.** — მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ხონში.—სიმღერა, ლექსი ვაჟა-ფშაველასი.—ქართული საღამო პეტერბურგში სტ, ვ. თოფურიასი. უგანათლებულეს ს თ. ალექსანდრე ივანეს ძის ბაგრატიონის გვამის გამოსვენება თბილისიდან ს. ლეჟავასი.—საყურადღებო ამბები.—თბილისის ურთიერთ-ნდობის სამეურნეო საზოგადოების წესდება გ. წერეთლისა.—სიმღერა შაჰ-აბაზის დროინდელი XVII საუკუნისა. ილია ჩ—ელისა.—ქართველი მკითხველისაგან. (დასასრული).—სვიმონ ხელი, ისტორიული მოთხრობა ვ. ბარნოვისა.—„კვალი“ და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია) ს. ჯიბლაძისა (დასასრული პირველი წერილისა)

## ორიოდე სიტყვა სალიტერატურო ფონდზე

ორი წელიწადია, რაც ქართულ გაზეთებმა გაიძახეს—საჭიროა დავეხმაროთ ნივთიერათ ჩვენ მოძმე მწერლებსო და პროვინცია, როგორც ყოველთვის ყველა კაი საქმისთვის გულშემატკივარი დაიძრა: შორიდან და ახლოდან, რამდენიც შეუძლიათ—ცოტა თუ ბევრი—თავის წვლილს გვაწოდებს. თბილისშიაც დაფაცურდენ ზოგიერთი პირები, უნდოდათ წესდება შეედგინათ ისეთი, როგორიც პეტერბურგშია ღარიბ ლიტერატორების დამხმარებელი საზოგადოებისა, მაგრამ ბოლომდინ ველარ გაიტანეს საქმე, გული აიყარეს და ფული რაც ამ სახელობით იგზავნებოდა გადასცეს „წერა კითხვის საზოგადოებას“.

ამ „საზოგადოების“ გამგეობა არ კისრულობს ამ საქმის წაყვანას, რადგან არ რაცხს თავის თავს უფლებით შეჭურვილს და თუ ორჯერ-სამჯერ იმისთანა გულ-კეთილობა გამოიჩინა, რომ ცოტაოდენი ფული მიაწოდა ერთ მომაკვდავ მწერალს და ორს სესხათ მისცა, რომელიც იცის, უსათუოთ უკან დაუბრუნდება, მგონი, ამასაც ნანობს.

ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ ეგ ფული უნდა ხელ უხლებლათ იყოს, ე. ი. თანხათ შეეინახოთ და ხოლო მაგის სარგებლით გავუმართოთ ხელი ჩვენ გაჭირვებულ მწერლებს და ვითომც შემომწირველებიც მაგ აზრით გზავნიდენ ფულს. ჩემი აზრით ამგვარი შეხედულობა შემცდარია. სუყველა ფონდების ფულიც, რომ ამ ორმოც თუმანს მიუმატოთ მაინც ბევრი წელიწადები მოუნდება ჩვენ ღარიბ საზოგადოებას, ისეთი თანხის შესადგენათ, რომ მისი სარგებლით ჩვენმა მწერლებმა გაჭირვების დროს სული მოიბრუნონ; მეტადრე მაშინ, როდესაც საზოგადოებას მოეთხოვება კიდევ ბევრი ფული სხვა საქმეებისათვისაც—მაგალითათ: სტუდენტების ხელის გასამართავათ და საზოგადოთ ყველა მოსწავლეებისა, დედათა შკოლის დასაარსებლათ და სხვა, მრავალგვარი საქმეები გვიდგია თვალწინ და რომელი უფრო გვესაჭიროება ძნელი გამოსათქმელია...

ამიტომაც ჩემის აზრით ემჯობინება ცალკე სალიტერატურო საზოგადოების დაარსების მაგივრათ, ამოვარჩიოთ წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე, სამი-ოთხი კაცი, რომელთაც ჩავაბაროთ სალიტერატურო ფონდის საქმის წაყვანა და იმათვე უნდა მივანდოთ, რომ ამ „ფონდს“ მიუმატონ სხვა-და-სხვა მწერლების თანხის ფულები დანიშნულებისამებრ მოსახმარებლათ.

**N. N.**

## მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ხონში

დღეს, 3 თებერვალს, შესრულდა დიდი ხნის გულის წადილი. აქ, აქაურ ნოტარიუსთან ხელშეკრულობით, დაარსდა მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ამ სახელით: ,,მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში". დღესვე შედგა პირველი კრება ამ ამხანაგობის წევრთა, რომელმაც წესდებისამებრ აირჩია: მმართველათ ამხანაგობისა ნ. ი. წერეთელი, მოლარეთ — (კასსირათ) მღ. პ. გ. ცაგერეიშვილი (იგივე მოლარე კუხ-გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა) და მდივნათ—კუხის შკოლის მასწავლებელი მ. თ. მაჭარაძე. ზედამხედველ კომისიის წევრებათ: 1) თ. დავით ივანეს ძე წულუკიძე, 2) ზედამხედველი ხონის ორ-კლასიანი შკოლისა სტ. დ. გაგუა და 3) მასწავლებელი ადგილობრივი სამრევლო შკოლისა ალ. თ. მაჭარაძე. ამათ კანდიდატებათ არჩეულ იქნენ: მღ. ს. ძ. ცაგერეიშვილი, მღ. ნ. ა. ლექავა და გლეხი პ. გ. სვანიძე.

ამხანაგობას მიზნათ აქვს დაეხმაროს თავის წევრთ მეაბრეშუმეთა, რომ მათ 1) შრომამ ტყუილუბრალოთ არ ჩაუაროთ და აბრეშუმი ბლომათ მოიწიონ (ამისთვის ამხანაგობა ეცდება სადი თესლის მათთვის მოპოებას და საჭირო ცნობების მათში გავრცელებას), 2) რომ მოწეული პარკი რიგიან ფასათ გაყიდონ (ამისთვის ამხანაგობა თავიანთ წევრთ პარკს გაუხმობს, ანუ მათვე გაახმობიებს, მხოლოთ გამოუხარშავს, ჰიას გამოუხჩობს ორთქლით, გაუმჯობესებულ იარაღებს: ამოსაღებს, სართავს, საქსოვს და სხ. მოუპოვებს და შესწავლის მსურველთ მათ ხმარებას; მიიღებს მათგან გასაყიდათ, როგორც აბრეშუმეულობას ისე ყოველს ადგილობრივ ხელნასაქმს, შალებს და სხ. და გაუყიდის); ვინც ნაღდ ფულზე მიყიდის ამხანაგობას პარკს, აბრეშუმს, ან ქსოვილს, იგი იმ საქონლის მოგებაში მონაწილე არ იქნება, 3) ამხანაგობა თითონაც დააარსებს თავის ქარხანებს აბრეშუმეულთა შესამუშავებლათ, გამოიწერს მცოდნე კაცს ქსოვის საქმის გასაუმჯობესებლათ და სხ. და სხვა.

ამხანაგობამ დაადგინა ათასი, წილის ბარათების (пай) დაბეჭდვა. თითო წილის ბარათი ეღირება ათი მანეთი. ამხანაგად შემოსვლის მსურველი მიმართავს ზემორე ხსენებულ ერთ-ერთ პირთაგანს და შემდეგ ამხანაგთა სიაში ჩაწერისა მიიღებს წილის ბარათს იმდენს, რამდენ თუმანსაც წარადგენს. ან კუხის ბანკში, ან ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში—ქუთაისში გინდ ხონში.

## სიმღერა

ყემმოლულუნე, ჩონგურო,
აკვნესდი, ამაკვნესია;
მორწყე და ააბიბინე
გულს ვარდი დანათესია .
ჩემთვის კვნესაში სილაღე
რამდენი ჩანალესია!..
ამოჟღარუნდი ხმა-ტკბილათ
ატირდი, ამატირია!..
ჩემთვის ღვთის პირით ტირილში
სამოთხე დანაპირია,
ტირილით გაუმთელდება
გულს მოტეხილი პირია.
ანგელოზთ გუნდში კი ვმღერი
მაშინ, როს აქა ვტირია.
თვალს ნუ მარიდებ, ლამაზო,
ჩემკენ მოიღე პირია.
შენს მზერას ჩონგურის ხმაზე
რაღა სამოთხე სჭირია!?.

ვაჟა-ფშაველა

## ქართული სალამო პეტერბურგში

ვისაც არ გამოუცდია ამისთანა სალამოების გამართვა და მაში მონაწილეობის მიღება, იმას ჰგონია, რომ ამისთანა სალამოების გამართვა სიხარულს და სიამოვნების მეტს არას გამოიწვევსო. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. აურებელი დროს დაკარგვა, აგრეთვე სულის სიმშვიდესი, ათას გვარ სხვა უსიამოვნების მიღება—აი ,,მესალამოების" ჯილდო. ერთი რომ სალამოს მართვას უნდება უკანასკნელი ორი თვე, რომლის განმავლობაში ხელი უნდა აიღონ სწავლაზე ,,სალამოს",

გამგეებმა. სულ კი სწავლა წარმოებს შვიდ-რვა თვეს. წარმოიდგინეთ შვიდ-რვა თვის სწავლას ორი თვე რომ გამოაკლოთ, როგორც უნაყოფოთ ჩატარებული, დიდი დანაკლისი იქნება ეს ყველასათვის. მეორე,— ,,სალამოს'' გამგენი საქმეს იწყებენ და ამთავრებენ მარტო თავის მოიმედენი, სხვის დაუხმარებლათ. კარგი, თუ შემოსავალმა დაჰფარა გასავალი, თუ არა და მეტი რა გზაა, ტანისამოსი უნდა გაჰყიდონ და გაისტუმრონ უნებლიეთ მოვალენი. მესამე,— თუ სალამო იმართება, შინაარსი სალამოსი უნდა იყოს ისეთი, რომ მაყურებლებს ნასიამოვნები დარჩენ და ,,გამგეებმაც'' თავი არ შეირცხვინონ. ყველა ამას დიდი შრომა უნდა, დიდი თავის მტვრევა. ბოლოს კი გამოდის, რომ ყველა ამხანაგების საჭიროების დაკმაყოფილება შეუძლებელია. ამდენი შრომის შედეგი მხოლოთ ზოგიერთ ამხანაგთა საჭიროების შემსუბუქებაა და მეტი არაფერი. რასაკვირველია ასეთი შედეგი კაცს აღელვებს. მერე ეისთვის არის სასიამოვნო ყოველ წლივ მართო სალამო და აგროვო ფულები ამხანაგებისათვის სხვა ხალხის ჯიბიდან? აი, ამის მაყურებელმა პეტერბურგში წელს, მე ვერ მოვითმინე და გწერთ. განსჯა თქვენი საქმეა, მხოლოთ მე კიდევ ვიმეორებ, დაუყოვნებლივ უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩვენი სტუდენტების მდგომარეობას. ამას ცხოვრება და ჩვენი ერის არსებითი ინტერესები მოითხოვენ.

ახლა ორიოდე სიტყვით შეგატყობინებთ, როგორ ჩაიარა აქ, პეტერბურგში ,,ჩვეულებრივ ქართველ სტუდენტთა სალამომ''. სალამოს გამართვა იტვირთეს შვიდმა კაცმა, რომელთაც დეკემბრის დამდეგიდან იანვრის ოც-და-ხუთამდე ერთი დღეც არ მოუსვენიათ, რის წყალობითაც სალამო ჩინებული გამოუვიდათ: შინაარსიანი და მაყურებელთათვის სასიამოვნო. ქართულ სიმღერებს მღეროდა ხორო ბ-ნ ბალანჩივაძის ლოტბარობით. ბ-ნ ბალანჩივაძეს ისე ჩინებულათ გაუწვრთნია ხორო და ისეთი სიმღერები ამოერჩია, რომ მაყურებელთა დაუსრულებელი ტაშის ცემა და ვაშას ძახილი გამოიწვია. მღეროდენ აგრეთვე „**Маринскій**“ს თეატრიდან საიმპერატორო არტისტები: ქ-ნი კუზა, რუნგე და ბ ნი ტარტაკოვი, მგონი თფილისელების „სულზე უტკბესი'' მეგობარი. ამათ რაღა თქმა უნდა, ზედ-მიწევნით აღასრულეს თავ-თავიანთი სასიმღეროები და საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს. იყვენ კიდევ საუკეთესო არტისტები პანაევის თეატრიდან: ბასი შალიაპინი და ქ-ნი კარაფა, რომელთ სიმღერები არა ნაკლებ მოწონებია საზოგადოებას. შემდეგ ბ-ნმა ველიჩკომ წაიკითხა თავისი ლექსი: „**Привѣтъ Грузіи**“ და კიდევ მრავალი სხვა ლექსები. ბოლოს ბ-ნმა კრემლევმა საუცხოვოთ წაიკითხა ბარათაშვილის ,,მერანი“, რუსულათ და ქართულათ ილია ჭავჭავაძის „გაზაფხული'', რომელმაც მაყურებლებში უზომო მხიარულება გამოიწვია. სულ ბოლოს დადგმულ იქნენ ცოცხალი სურათები ჩვენი ნიჭიერი პოეტი ვაჟა-ფშაველას პოემიდან ,,ეთერი''. სურათები დადგეს მხატვარმა აკადემიკოსმა მიკეშინმა და სტუდენტმა რერიხმა. აი, მოკლეთ სალამოის შინაარსი. მაყურებლები ამბობდენ, რომ ქართველთ სალამოებისთანა მხიარული და ცოცხალი სალამოები პეტერბურგში არ იმართებიანო. ამისი რა მოგახსენოთ და ის კი ეჭვს გარეშეა, რომ სხვა კავკასიელთ სალამოებს ჰჯობიან ქართული სალამოები, რაც შეეხება საზოგადოებას, რომელიც ესწრება ჩვენ სალამოებზე, კარგის მეტი არა ითქმის რა; საზოგადოება წმინდა, სუფთა, დარჩეული ჰჩვევია ჩვენს სალამოებს. ღვთის წყალობით, ჯერ-ჯერობით არა ჰჩანს ჩვენ სალამოებზე საეჭვოთ გულგაღიავებული და ფერ-უმარულით გაგლესილი მანდილოსნები, როგორც სხვაგან......

დასასრულ დიდი მადლობის ღირსი არის თ. ივანე ნაკაშიძე. ეს ისეთი ქართველია, რომ თავის თანა მემამულეთათვის არას დაიშურებს და ყოველ შემთხვევით სარგებლობს რითმე არგოს თავის ქვეყნის კაცს.

სტუდ. ვ. თოფურია.

## უგანათლებულესის თ. ალექსანდრე ივანეს ძის ბაგრატიონის გვამის გამოსვენება თბილისიდან.

10 თებერვალს შვიდს საათზე სალამოს თბილისის სადგურიდან წამოვასვენეთ გვამი მიცვალებულისა. გორის სადგურზე დაუხვდა ადგილობრივი საზოგადოება და მიუტირა განსვენებულის მეუღლეს. აგრეთვე მიხაილოვის სადგურზე მიეგებენ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე სურამიდანაც მოსული თავად-აზნაურობა, იტირეს მიცვალებული და მის ჭირისუფალს გამოუცხადეს ღრმა მწუხარება. იქვე მღვდელმა ბებიევმა წარმოთქვა მოკლე შესაფერი სიტყვა. შემდეგ ყოველს სადგურზე

თანდათან ემატებოდენ ხალხი და მოყვებოდენ მიცვალებულს.

მეორე დღეს, შაბათს, დილის მეცხრე საათის ნახევარზე მიცვალებული მოვასვენეთ ყვირილაში, სადაც დაუხვდა სადგურზე ადგილობრივი პოლიცია, შემოსილი სამღვდელოება და ურიცხვი საზოგადოება. სადგურზე ტევა არ იყო ხალხისა. ამოდენი ხალხი მიცვალებულს მიეგება ტირილით და ღრმა მწუხარებით. აქვე სადგურის წინ დაასვენეს მიცვალებული. დეკანოზმა დ. ღამბაშიძემ და სხვა სამღვდელოებამ გადიხადეს პანაშვიდი, შემდეგ ყვირილიდან მიცვალებული უნდა წაესვენებინათ ს. ღვანკითში, თავის სასახლეში. ყვირილის ბაზარში ყველა დუქნები დაკეტილი იყო. წინ პოლიციის მოხელეები გაუძღვენ მიცვალებულს, შემდეგ მგალობლები და შემოსილი სამღვდელოება და სხ. ერთის ვერსტის მანძილზე ძლივს ეტეოდა გამყოლი ხალხი. უკან მოქონდათ ძვირფასი ბალდახინი.

მეოთხე ვერსტზე არგვეთის სოფლიდან აზნაურნი ტატიშვილები, ქალით და კაცით უმეტეს ასის სულისა თავის სოფლის ბოლოზე შემოეგებნენ. დაფენილს ხალზე დაასვენეს მიცვალებული და ღრმა მწუხარებით იტირეს. გაიარეს კიდევ ოთხი ვერსტი და მდინარის ჩოლაბერის პირზე ხიდთან დაუხვდენ ექვსი სოფლის მცხოვრებნი თავადი-აზნაურნი და გლეხები, არა ნაკლებ სამასის სულისა კაცი და ქალი. ხალხი იდგა გზის აქეთ-იქით ნაპირზე ორ მწკრივათ, გზაზე დაეფინათ მწვანე სხვა-და-სხვა ფოთლები, წინ იდგა შემოსილი სამღვდელოება; თავად იაშვილებმა მიართვეს გვირგვინი, დაასვენეს გზაზე მიცვალებული და საზოგადოთ ყველამ იტირა და დიდი მწუხარებით მიეგებნენ კნეინას. აგრეთვე ღვანკითის სოფლის საზღვარზედაც მოეგება მრავალი საზოგადოება; ხალხი გზებში აღარ ეტეოდა; საკვირველი შესახედავი იყო საზოგადოება, როგორც სიმრავლით, ისე მწუხარებით. მიცვალებული აზნაურობამ შეასვენა ეზოში. ჭიშკართან დაუხვდენ ასზე მეტი თმა გაშლილი ქალები. მათს ტირილს და მწუხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ბოლოს მიცვალებული დაასვენეს სასახლის დარბაზში, დიდი ეზო და ეზოს გარეთაც სულ ხალხით იყო გაჭედილი. ყვირილიდან სოფელს ღვანკითამდის 12 ვერსტი იქნება და ამ სიშორეზე ხალხს კუბო სულ ხელით მიქონდა, ერთი მეორეს გლეჯდენ ხელიდან. ბევრი ისე დარჩენ, რომ ხელის მოსაკიდებლათ ვერ იშოვეს კუბო. საზოგადო ტირილი მიცვალებულისა არის დანიშნული ამ თვის 23 და 24.

ს. ლეჟავა

## საყურადღებო ამბები

გაზ. „კავკაზში" წერია: ცხრამეტ თებერვალს გაემგზავრა პეტერბურგს ბათუმით საფინანსო სამინისტროს ჩინოვნიკი ი. ე. ჟუკოვსკი, რომელიც იყო გამოგზავნილი ქუთაისის მიხაილოვის ბანკის სარევიზიოთ. რევიზია მეტათ დაწვრილებით და საბუთიანათ იყო წარმოებული, ამას ისიც ამტკიცებს, რომ დაიწყეს წარსული წლის დეკემბრის შუარიცხვებში და ძლივს თებერვლის პირველ რიცხვებში გაათავეს. რევიზორს დაუნიშნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, როგორც ადგილობრივ საქმის მცოდნე კაცი, თავის საკუთარი ჩინოვნიკი თ. ი. ზ. მელიქიშვილი მისახმარებლათ. როგორც გავიგეთ, ამ რევიზიას კარგი ბოლო ჰქონია, რადგან თვით რევიზორი დარწმუნებულა, რომ ქუთაისის ბანკი წარმოებით მტკიცე საფუძველზე დგასო,

***

ჩვენ მოგვივიდა შვენიერი დიდი სურათი შოთა რუსთველისა, გამოცემული დეკ. დ. ღამბაშიძის მიერ. სახეს უფრო ქართული იერი ეტყობა და ტანისამოსს... 

ცმულობაც სხვანაირი აქვს, ვიდრე ჩვეულებრივათ ხატვენ.

***

ჭიათურა. აქაური ახალგაზდობა ბიბლიოთეკის გახსნას ჰფიქრობს, ამ მიზნით თვის 22 იანვარს წარმოდგენა გამართეს, რომლიდანაც ყოველ ხარჯს გარეშე დარჩა 33 მანეთი ფული. წარმოადგინეს „ძუნწი", „ურინ-მაჩინის ქუდი" და „რაც არ მერგება არ შემერგება". მონაწილეობას ღებულობდენ ამ წარმოდგენაში ქ-ნნი, პ. არდიშვილი, ა. მეღვანი, ი. და კ. წერეთლები, მ. ბაქრაძე. ბ-ნნი ს. იაშვილი ძ. მოდებაძე, კ. წერეთელი, ს. ჩაჩანიძე, გ. დეკანოზიშვილი და სხ. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა მონაწილენი (განსაკუთრებით ქალები), რომ ასეთი სასარგებლო საქმისათვის არ დაიშურეს თავიანთი ძალ-ღონე და მეცადინეობა. წარმოდგენამ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა.

***

იქიდანვე: ,,კვალის“ 6 №-ში ამოვიკითხეთ, რომ „1 თებერვლიდან ჭიათურის რკინის გზაზე წესიერი მიმოსვლა გაიმართაო“. სამწუხაროთ, ჭიათურის რკინის გზა, არა თუ წინანდელზე გაუმჯობესებულ მდგომარეობაშია, არამედ გაცილებით უარესშიაც არის. მთელს დედამიწის ზურგზე ასეთი მოკლე (38 ვერსტი) რკინის გზის შტო და ასეთი შემოსავლიანი არსად მოიპოვება (ტარიფი 1 ფუთზე 10 კაპ.); მარა ვერც ასე მივიწყებულს და მოუწყობელ გზას შეხვდებით ვერსად!! საკვირველი ის არის, რომ მგზავრების, რომლებიც მუდამ ბლომათ არიან, გადაყვან-გადმოყვანაზე არავითარი ყურადღება არაა მიქცეული! იმათთვის არც ვაგონია, არც თავაზიანი სიტყვა პასუხი მოხელეების მხრივ და არცარა სხვა... ეს არა სასურველი მდგომარეობა, როგორ გგონიათ, უმჯობესდება? არა, თან-და თან უარესდება! აი, თუნდა ამდენხანს ყოველ მატარებელზე უშვებდენ მგზავრებს (იგულისხმეთ, რომ ღია ვაგონებით და ისიც შავ-ქვასთან ერთათ), მარა თებერვლის 7-დან, მხოლოდ ორჯერ ისტუმრებენ დღეში და ღამეში. პირველ შემთხვევაში მგზავრი იმ მატარებელს გაჰყვებოდა ხოლმე, რომელიც ბათუმისა და თბილისის მატარებლებს უსწრობდა; ახლა კი იმ დროს ისტუმრებენ ჭიათურიდან მგზავრებს, რომ ვერც ერთს დიდი რკინის გზის სახალხო მატარებელს ვერ მიუსწრობენ, რის გამოც იძულებულნი არიან 6 და 7 საათს უცადონ მატარებელს შორაპანში, სადაც არც სასტუმროა, არც რკინის გზის სადგურია და არც რამ სხვა თავ-შესაფარი!!! მკითხველი რომ თვითონ დარწმუნდეს, თუ რა გაჭირვებას იტანს ჭიათურის რკინის გზით მოსიარულე,—აქვე აღვნიშნავთ დროს, თუ როდის მიჰყავთ ხოლმე ჭიათურიდან ხალხი, როდის ჩადის ეს მატარებლები შორაპანში და რამდენი ცდაა იქ საჭირო, რომ წავიდენ თბილისისაკენ და ან ბათუმისაკენ. როგორც ზევით მოვიხსენეთ, ჭიათურიდან ორი მატარებლით მიჰყავთ ხალხი დღისით და ღამით. ერთი გადის (№ 1) დილის 5 საათზე და 30 წუთზე და შორაპანში ჩადის 10 საათზე, ხოლო მეორე (№ 5) მიდის ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე და შორაპანში ჩადის 5 საათზე 40 წუთზე, ახლა ბათუმიდან შორაპანში სახალხო მატარებელი (№ 2) მოდის ნაშუადღევის სამ საათზე და 8 წუთზე, ხოლო თბილისიდან (№ 1) 4 საათზე და 4 წუთზე. აქვე საფოსტო მატარებლები მოდიან თბილისიდან (№ 3) ნაშუალამევის 1 საათზე და 55 წუთზე, ხოლო ბათუმიდან (№ 4) 5 საათზე და 18 წუთზე. გამოდის რომ ჭიათურიდან ჩასული მგზავრი უნდა ელოდებოდეს თბილისისა და ბათუმის მატარებლებს 5, 6, 8 და 11 საათს!! მოგწონთ?

ნეტავი რამ გამოიწვია ასეთი დაუდევარი განკარგულება ჭიათურის რკინის გზის შტოზე? ნუ თუ მეტი ყურადღების ღირსი არაა ის ხალხი, რომლის მეოხებით რკინის გზის მმართველებს მილიონამდე მანეთი ფული შეუდის ყოველ წლობით?!? ნეტავი როდემდის იქნება ასეთი წეს-რიგი?

***

იქიდანვე: ყველასაგან დავიწყებულს და მარადის დავარდნილ ჭიათურას მარტო ერთი-ღა გულშემატკივარი და ჭირისუფალი ჰყავს. ეს არის ჭიათურის სამრეწველო (промысловый) ბოქაული ბ-ნი ნესტორ ნიკოლოზის ძე არდიშვილი. ამის მეცადინეობით და თაოსნობით ჭიათურაში გაკეთდა შვენიერი წყარო და გზა; მოვაჭრეებმა შეიძინეს 50 ფარანი, რომლითაც შვენივრათ განათებულია მთელი ჭიათურა, შეიძინეს აგრეთვე საათი და ზარი, რომლითაც მუშა ხალხი გებულობს დროს. ბ-ნ არდიშვილისავე თაემჯდომარეობით არის შემდგარი სასანიტარო რაზმი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ბაზრის სისუფთავეს პურის, ხორცის და სხვა ხორაგეულობის სივაკარგეს. ბ-ნი არდიშვილივე შუამდგომლობს მთავრობასთან ფოსტა-ტელეგრაფის გახსნის შესახებ, რაც მიუცილებლათ საჭიროა. მასვე აქვს მიზნათ შავ-ქვაში მომუშავეთათვის კასსა დაარსოს; იგივე ცდილობს ჭაათურაში ეკლესიის აგებას. რის ნებართვაც უკვე აღებულია ყოვ. სამღვდელო გაზრიელისაგან. ვისურვებთ ბ ნ არდიშვილის მიერ დაწყებული ყველა საქმის დაგვირგვინება! ჭიათურის წარსამატებლათ.

## თფილისის ურთიერთ ნდობის სამეურნეო საზოგადოების წესდება

ამას წინათ ჩვენ ვილაპარაკეთ, თუ რა აუცილებელი საჭიროებაა ჩვენი ერისთვის სამეურნეო და სამრეწველო ამხანაგობის დაარსება, რომ გამოვიხსნათ ჩვენი წარმოება და დავალიანებული მამულები ფულის კლანჭებისაგან. სასიხარულოთ ჩვენდა ჩვენი ერი ცნობიერასი შეეგება ამ ჩვენს განზრახვას. დღევანდელს „კვალის“ ნომერში არის გამოცხადებული, რომ ერთი ზემოხსენებულნაირი ამხანაგობა აბრეშუმის წარმოებისათვის კიდეც შემდგარა ხონში. ჩვენ არ ვეჭობთ, რომ სხვა

წარმოებისათვისაც შედგება ამხანაგობები. მაგრამ იმათ წარმატებისათვის საჭიროა საჩქაროთ მივაშველოთ საკმაო ფული.

აი ამის გულისთვის, რაც შეიძლება, მალე უნდა განხორციელდეს ზემოთ აღნიშნული სამეურნეო ურთიერთობის ბანკი, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია მთავრობისაგან და, დღეს თუ ხვალ, კიდეც მოგვივა *). მაგრამ სანამდინ ამ ბანკი მკვიდრ საფუძველზე დაყენების შესახებ ვილაპარაკებდეთ უნდა გავიხსენოთ სახელმწიფო ბანკის ახალი წესდება, რომელიც უნდა შექნეს ზემოხსენებული სამეურნეო ბანკის ზურგათ. ამ შემთხვევაში თვით მთავრობამ გაუწედინა ხელი უნუგეშო მდგომარეობას ჩვენის სამეურნეო და სამრეწველო წარმოებისას. იმან მიიღო მხედველობაში, თუ რანაირათ დასევიან კერძო ვაჭრები ყორნებსავით სოფლის მუშა ხალხის და მემამულეების წლიურს მოსავალს, რა იაფათ აცლიან ხელიდან ვაჭრები მათს ჭირნახულს და ნახელავს, იმისთვის რომ სოფლის მწარმოებელს არა აქვს ხელათ ფული, და, აი, მთავრობამ ნება მისცა ახალ წესდების ძალით სახელმწიფო ბანკს, რომ იგი მიშველებოდა ყოველს გაჭირვებულს სოფლის მწარმოებელს და მიეწედინა მისთვის საჭირო ფული.

პირველი მუხლი სახელმწიფო ბანკის ახალი წესდებისა, აი, რას გვაუწყებს: „სახელმწიფო ბანკს აქვს განზრახვა შეეწიოს და ხელი გაუმართოს მოკლევადიანი სესხით ჩვენი ქვეყნის ვაჭრობას, მრეწველობას, მეურნეობას და მიწის მომუშავეს“.

ამ აზრით სახელმწიფო ბანკი მართავს თავის განყოფილებებს ყოველ გუბერნიის ქალაქში. ხოლო გუბერნიის განყოფილებას ექნება სხვა-და-სხვა მაზრებში თავ-თავისი კანტორები და ეყოლება აგენტები. თვით განყოფილებებში და კანტორებში იქნებიან სოფლის მიწის მუშა ხალხიდან და ადგილის მეპატრონეებიდან დანიშნული ადგილობრივი წარმოების და მწარმოებელი ხალხის კარგი მცოდნე კაცები, რომ თითოეულს კომლს მიაწედინონ შესაფერი ფულის სესხი. აგრეთვე მის აგენტებს ექნებათ დავალებული შეიტყონ სოფლებში და მაზრებში ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა, ვის რამდენი ჰჭირდება სესხი, ან თუ კარგი გამრჯელი და სინიდისიანი ოჯახობაა, შეიძლება თუ არა მაზე გაცემული სესხი სანდო იყოს, ან თუ შეუძლია მას ეს სესხი საქმეში გამოიყენოს და თავის დროზე თვითონაც ხელი მოინაცვლოს, ჭირნახული კარგ ფასათ გაყიდოს, თვითონაც მოიგოს და ბანკსაც ფული დროზე დაუბრუნოს? ყოველივე ამის შეტყობა დავალებული ექნება სახელმწიფო ბანკის კანტორებს და აგენტებს. მაგრამ ახლა ჩვენ უნდა ვიკითხოთ, შეუძლია თუ არა სახელმწიფო ბანკის განყოფილებებს, მის კანტორებს და აგენტებს მთელი სოფლის, მაზრის და ქალაქის ხალხი დააკმაყოფილოს, ყოველს გაჭირვებულს ხელი გაუმართოს და არავინ არ დაიჩაგროს, არავინ არ წახდეს დროზე ფულის მიუშველებლობით?—არა, არ შეუძლია; ამიტომ რომ კანტორები და აგენტები თავის დღეში ვერ მოახერხებენ ზედმიწევნით დააკმაყოფილონ ყველანი, ვისაც კი ფული სესხათ ეჭირვება, რადგან ისინი ვერ გაიცნობენ ზედმიწევნით ყოველს კუთხეს, ყოველს სოფელს და ყოველს ოჯახს.

აი, აქ ჩნდება დიდი მნიშვნელობა ისეთი შუამავალი ბანკისა, როგორიც არის შედგენილი თვით მიწის მომუშავე, მოხელე და ადგილ-მამულის მეპატრონებისაგან.

უეჭველია, ეს დაბრკოლება ჰქონია სახელმწიფო ბანკის წესდებას მხედველობაში და ამ განზრახვით წესდებაში ჩაურთავს სესხის გაცემა შუამავალი დაწესებულების მეოხებით. § 139 მუხლი სახელმწიფო ბანკის წესდებისა ლალადებს შემდეგს:

„სახელმწიფო ბანკს ნება აქვს სესხი მისცეს შუამავლებს: ა) რათა ეს სესხი დაურიგდეს წვრილმანს ადგილმამულის მეპატრონებს და ადგილ მამულის მეიჯარადრებს, გლეხებს, მოხელეთა და მეურნეთა ამხანაგობებს, იმათი ნაწარმოების დაწინდებით, დაგირავებით, აგრეთვე მიეცემათ სესხი ხელის მოსაცვლელათ ან სამუშაო იარაღების შესაძენათ და კარგი ჯიშის პირუტყვის საყიდლათ. ბ) უნდა მიეცესთ სესხი აგრეთვე იმათ, რომელთაც აქვთ საქონელი ან გზაში და ან გადმოსატანი“. ხოლო § 140 მუხლი სახელმწიფო ბანკის წესდებისა, აი, რას გვეუბნება: „შუამავლათ შეუძლიათ იყონ საერო დაწესებულებანი, და კერძო ბანკები, როგორც მაგალითათ საურთიერთო ნდობის ბანკები, საურთიერთო შემნახველგამსესხებელი ამხანაგობები და სხვა წვრილმანი მსესხებელი დაწესებულებანი“.

ამ სახით, ჩვენ რომ ახლა თფილისში საურთიერთო სამეურნეო ბანკი უნდა გავხსნათ, იმას უფლება აქვს საწარმოებელი ფული რამდენიც საჭიროა, იმდენი ისესხოს სახელმწიფო ბანკისაგან. მაშასადამე არავითარი დაბრკოლება არ ექნება ჩვენს სამეურნეო საურთიერთო ბანკს მაშინვე გახსნას თავისი წარმოება მთელს თფილისისა და ქუთაის-ს გუბერნიებში, როგორც კი მიიღებს თავის დამტკიცებულს წესდებას. საჭირო არ არის, როგორც აქა-

*) ტელეგრამმა გვატყობინებს, რომ წესდების დამტკიცება უკვე გამოცხადებულია ის. „Кавказъ“-ი № 51.

მდის ამ ბანკის დამფუძნებელნი ფიქრობდენ, ვუცადოთ იმ დრომდის, სანამდის საწევრო თავნი ოც-ხუთი ათას მანეთამდის არ შეგროვდება. ჩვენ, დამფუძნებელთ ზემოხსენებული ბანკისა შეგვიძლია ურთიერთ ნდობის ძალით ვისესხოთ სახელმწიფო ბანკიდან ოც-და-ხუთი ათასი მანეთი, ან მეტი, ან ნაკლები და შევუდგეთ ბანკის წარმოებას საქართველოს მიწის მუშა და მიწის მეპატრონეების საკეთილდღეოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ კიდევ ის იმედიც გვაქვს, რომ ასეთს სამსახურს, როგორც სახელმწიფო ბანკი გვპირდება, გაგვიწევენ თვით თფილისის და ქუთაისის სადგილმამულო ბანკები. იმათ უნდა გადმსოცენ ჩვენს სამეურნეო ურთიერთ ნდობის ბანკს ყველა მათი თავისუფალი თანხები საწარმოებლად. აი, ამაში იქნება უდიდესი მათი ღვაწლი და სარგებლობა ერის წინაშე. იმის მაგიერათ, რომ ისინი დღეს ფრიდონოვისა, წოვიანოვისა და ქალაქის სავაჭრო ბანკებში ინახვენ თავის ფულს და ამით ვაჭრებსავე უწყობენ ხელს ჩვენი წარმოების დასაცარავათ, დრო არის იმათ ჩვენსავე წარმოებას გაუმართონ ხელი მომავალი სამეურნეო საურთიერთო ბანკის შუამავლობით. განა კერძო ქართველების ფული კი ცოტა არის ქალაქის სავაჭრო და საურთიერთო ბანკებში? განა თვითონ ფრიდონოვებს, ჩითახოვებს, ალელოვებს და წოვიანოვებს კი ცოტა აქვთ ქართველების მიერ მიბარებული ფული, რომ ჩარჩ-ვაჭრებს უწყობენ ხელს და ჩვენი სოფლის მიწის მუშის და მიწის მეპატრონეების გულზე აქვთ ხელი დაბჯენილი? იმედია, რაკი ჩვენი სამეურნეო ურთიერთობის ბანკი გაიხსნება თბილისში, ყველა ქართველები, ვისაც კი ვაჭრების ხელში აქვთ თავისი მონაგები ფული, წამოიღებენ და თავის საკუთარ ბანკში დააბინავებენ. აი, ეს იქნება პირველი ნაბიჯი გონიერი ბრძოლისა ეკონომიურ ნიადაგზე ჩვენი მეზობლების ძალ-მომრეობის წინააღმდეგ.

რაიცა შეეხება ჩვენს სამეურნეო ბანკის წესდებას, ან იმის განხორციელებას, ამაზე ჩვენ მოვილაპარაკებთ შემდეგში.

გ. წერეთელი

## სიმღერა შაჰ-აბაზის დროინდელი XVII საუკუნისა

(გაგონილი ქართლში)

ქრისტემ თქვა: სადაც მძორი ძევს,
იქ ორბნი მიფრინდებიან,
მშიერ მუცლებით მისულნი
მაძღრები გაფრინდებიან...
ქართველო, შენცა მძორს ჰგავხარ
გწიწკნიან უცხოელები,
შენს ჭერ ქვეშ შენსვე, მამულში
შიმშილით გეწვის წელები!
გამოიღვიძე, ქართველო,
გამოახილე თვალები,
გაიგე, თუ ვინ არიან
დღეს შენი დამჩაგვრელები;
უცხო ქვეყნიდან მოსულნი,
შორიდან მოთრეულები,
შვილები მწირის ქვეყნისა,
ნახევარზედა მშივრები.
ურცხვად ჰქირდავენ ისინი
შენს ზნეს და ჩვეულებასა,
ზედ აფურთხებენ შენს ჯვარსა
და შენსა დედა ენასა.
გამტკიცდი ჭირში, ქართველო,
და ნუ მოიკლავ იმედსა:
კვალათ იხილავ ბრწყინვალეთ
დღეს დაჩაგრულსა შენს ბედსა.
კვლავ გეღირსება, იხილო
ეროვნულ დროშის ფრიალი,
კვალად ილოცავ შენს ქრისტეს,
დღეს მის ჯვარის წინ მტირალი,
ნუ გაგიტეხს გულს ვაება;
ტანჯვასაც ხშირათ აქვს ფონი,—
კვლავ გაიხარებ, გახდები
შენ შენი თავის პატრონი?..
მოვა დრო... სპარსთა სამეფო
ოცადაც განაწილდება
და შენც იმისგან დაჩაგრულს
გეღირსვის თავისუფლება...
მაშ ნულარ ტირი, ქართველო,
და ნუ მოიკლავ იმედსა,
კვალად იხილავ ბრწყინვალეთ
დღეს დაჩაგრულსა შენს ბედსა!

ილ. ჩ—ძე



ფინლანდიის ტბა.

## ქართველი მკითხველისაგან

(დასასრული.*)

მეხუთე. თქვენ ბძანებთ: „ჯერ ფაქტები და შესწავლა ამ ფაქტებისა გვეჭირვება"-ო და არა უცხო ცხოვრების თეორიის გადმოღებაო" ჩვენ გვგონია, ბ-ნო ლალო, რომ ფაქტების მეცნიერულათ შესწავლისათვის აუცილებელი საჭიროა რომელიმე თეორიის ქონება, თუ უცხო ცხოვრების თეორია უვარგისია ჩვენთვის, მაშ ჩვენი, ქართული ცხოვრების თეორია მაინც უნდა გვქონდეს, ხომ არავის ეკულებით ასეთს თეორიას და თუ ეკულებით, არ შეიძლება გვაცნობოთ რაში მდგომარეობს იგი? ამით დიდათ დაგვავალებთ, რადგან საშუალებას მოგვცემთ ვიხელმძღვანელოთ ამ თეორიით და ცოტა რამ მაინც გავიგოთ ჩვენი ცხოვრებისა.

მეექვსე. თქვენ ბრძანებთ: ყოველმა ჩამორჩენილმა ერმა უნდა იმუშაოს თავის კულტურის ამაღლებისა და წარმატებისათვისაო და თანაც დიდათ იჭვნეულობთ ამ მიზნის მისაღწევათ საჭირო იყოს ეკონომიურ ბძოლის ველზე სისხლის ღვრაო. ჩვენც სწორეთ თქვენი აზრისა გახლდით და გვჯეროდა, რომ თავიდან ავიცილებდით ამ ბრძოლას, თუ კი საკმაოთ ვეცდებოდით. მაგრამ თქვენ კარლ-მარქსზე მიგვითითეთ და ეს მეცნიერი კი თურმე ამას ამტკიცებს, რომ კულტურული წარმატება, როგორც სული ხორცზე, ისეა დამოკიდებული ეკონომიურ წარმატებაზე და ეს წარმატება კი უბრძოლველათ არ მომხდარა ჯერ ისტორიაშიო. ჩვენ მაინცა-და-მაინც არ დავემყარებოდით ამ გაგონილს აზრზე, თუ გინდათ ავტორიტეტისაგანაც იყოს წარმოთქმული და თქვენი შეხედულობის თანახმა დავრჩებოდით მომავალშიაც, რომ ეკონომიური ბრძოლა არაფერს შუაშია ჩვენი კულტურის ამაღლებისა და წარმატების საქმეში, მაგრამ ამ კითხვების აღნიშვნის დროს, „ივერიის" მე-24 № მოგვივიდა. ამ ნომერში თქვენი მეთაური წერილია ბ-ნო ლალო, რომელშიაც თქვენ ბძანებთ: „ეკონომიური მხარე ცხოვრებისა ის საძირკველია, რომელზედაც შენდება ერის პოლიტი-

*) იხ. „კვალი" 9.

კური, იურიდიული და საზოგადოთ სულიერი ცხოვრება"-ო. ამ აზრის განსამარტებლათ თქვენ ბ-ნო ლოლო, მოგყავთ მაგალითები, რომლებიდანაც სხვათა შორის ცხადათა ჰჩანს, რომ ევროპის ეკონომიურ განვითარებას თან ხლებია და ახლავს კიდეც საშინელი ბრძოლა, რომ ეს ბრძოლა ჩვენშიც დაბადებულია გლეხ-კაცების განთავისუფლებას შემდეგ: „ჩვენი ერის ცხოვრებაში დამდგარა ახალი ხანა, ჩვენი ორი წოდება — თავად აზნაურობა და გლეხობა თავ თავის გზას დადგომია და სხვა და სხვა საშუალებით იბ-



1, ჩრდილოეთის ოკეანეს პირათ. 2, რუსის ქვეშევრდომი იაკუტის მოსასვლელობა. 7, იაკუტების ირმებ-შებმული მარხილებით მოგზაურობა. 3, იაკუტების ძაღლებ-შებმული მარხილით მოგზაურობა. 4, იაკუტების თხილამურებით ნადირობა. 6, იაკუტების თევზაობა ყინულიან ოკიანეში. 5, მღვდლის მოსვლა იაკუტებში. 9, იაკუტების ნაბდის კარვები. 8, იაკუტების სახელოსნო შენობა და შინაური მოხელობა.

რძვის (ერთმანეთ შორის, არა?) თავის კეთილ-დღეობისათვის. ამ ორ წოდებას გვერდით ამოდგომა (სამტროთ თუ სამოყვროთ?) უსურვებია (საიდან გაიგეთ, ბ-ნო ლალო, ეს სურვილი?) მესამე წოდებასაც“ *). აქედან ცხადათა ჰჩანს, რომ ეკონომიური ბრძოლა ცხრა მთას იქით არ ყოფილა. და თუ ეს მართალია, თუ მთელი ერის კულტურა („პოლიტიკური, იურიდიული და საზოგადოთ სულიერი“) შენდება და ინგრევა ამ ბრძოლის ველზე და არა სადმე სხვაგან, რაღა ნაირათ უნდა გავიგოთ, ბ-ნო ლალო, როცა გვეუბნებით: „ყოველმა ერმა და სხვათა შორის ჩვენმაც (რომელშიაც, როგორც დავინახეთ, ეკონომიური ბრძოლა უკვე დაწყებულა) უნდა იმუშაოს თავის კულტურის წარმატებისათვისაო“ და თანაც დასძენთ: „აქ ეკონომიური ბრძოლა რა შუაშიაო“. გარდა ამისა, თუ ეკონომიური ბრძოლა ისეთი საყოველთაო რამ მოვლენაა, როგორც თქვენი მეთაური წერილიდანა ჰჩანს, მართლა რა შუაშია, ან ბ-ნ გ. წერეთელი, ან მესამე დასი მასში, რომ ეს ბრძოლა ჩვენი ცხოვრების ნიადაგზედაც აღმოცენდა. აქ, ჩვენის აზრით, ბ-ნ გ. წერეთელიც და მესამე დასიც იმასვე უნდა ამტკიცებდენ, რასაც თქვენ ამტკიცებთ, ბ-ნო ლალო, თქვენ მეთაურ წერილში.

მაგალითად თქვენ ბძანებთ: „ეკონომიური მხარე ცხოვრებისა ის საძირკველია, რომელზედაც შენდება ერის პოლიტიკური, იურიდიული და საზოგადოთ სულიერი ცხოვრება ერისაო“. მესამე დასი კი, რამდენათაც მისის წარმომადგენელის ნაწარმოებიდანა ჰჩანს, სრული თანახმაა იმ აზრისა, რომ ეკონომიური სტრუკტურა საზოგადოებისა არის რეალური საფუძველი, რომელზედაც აგებულია პოლიტიკური და იურიდიული ფორმები ცხოვრებისა და რომლითაც აღისაზღვრება მთელი არსებული კულტურა და ცნობიერების ფორმებიც. თქვენ ბძანებთ: „თუ ერის ეკონომიური ცხოვრება შეიცვალა, უთუოთ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური შენობაც და თუ ეს ცვლილება არ მოხდა მშვიდობიანათ, კანონმდებლობის ძალით, მაშინ ხალხი ძალადობის გზას ადგება და რევოლიუცია კისრულობს იმის შეცვლასო“. მესამე დასიც უნდა თანახმა იყოს, რომ როდესაც იურიდიული, სოციალური და გონებრივი ცხოვრების ფორმები აღარ შეეფერებიან ცხოვრებაში ახლათ განვითარებულს ნივთიერ მხარეს და მით ავიწროვებენ და ხუთავენ იმის წინმსვლელობას, მაშინ დგება ეპოქა სოციალური რევოლიუციისა და შესაფერი შეცვლით ნივთიერი ცხოვრებისა. ძალაუნებურათ იცვლება იურიდიული, პოლიტიკური და ზნეობრივი მხარე ცხოვრებისა და ფორმები ცნობიერებისა.

ამ აზრის განსამარტებლათ, თქვენ რამდენიმე მაგალითი მოგყავთ თქვენ მეთაურ წერილში. მესამე დასის წარმომადგენლები კი, მთელს ისტორიას უყურებენ ისე, როგორც ერთ დიდს, ამავე აზრის დამამტკიცებელ მაგალითს *). თქვენ ბძანებთ: „გლეხკაცობა რომ განთავისუფლდა, მას შემდეგ ჩვენი ერის ცხოვრებაში ახალი ხანა დადგა: ჩვენი ორი წოდება – თავად-აზნაურობა და გლეხობა თავ-თავის გზას დაადგა და სხვა-და-სხვა საშუალებით იბრძვის კეთილ-დღეობისათვისო“ ორ წოდებას სურს ამოუდგეს გვერდში მესამე წოდებაც. როგორი ურთიერთობა სუფევს ამ წოდებათა შორის? რომელი წოდება მიდის წინ და რომელი იჩაგრება? რა უწყობს ხელს და რა უშლის ამა თუ იმ წოდების წინმსვლელობას? როგორ გზას დაადგება ახლო მომავალში ჩვენი ერის ეკონომიური ვითარებაო? კითხულობთ თქვენ.

მესამე დასმაც კარგა ხანია აღნიშნა ყოველივე ეს, მხოლოთ შემდეგი ცვლილებით კი შედარებით თქვენ ნათქვამთან: გლეხ-კაცობა რომ განთავისუფლდა მას შემდეგ ჩვენი ერის ცხოვრებაში ახალი ხანა დადგა; ჩვენი ორი წოდება თავად-აზნაურობა და გლეხობა თავ-თავის გზას დაადგა და სხვა-და-სხვა საშუალებით ერთი მეორეს წინაამდეგ იბრძვის თავის კეთილ-დღეობის და მოწინაამდეგის უბედურების შესამატებლათ; ამ ორ მებრძოლ წოდებათა ომში უკვე ჩაერია მესამე წოდება, აღჭურვილი საშინელი იარაღით, რომელსაც სახელათ ფული ჰქვია და რომელიც ხორასნის ხმალზე უფრო მჭრელია; ამ სამთა ბრძოლამ ძლიერ მალე უნდა გამოიწვიოს (თუ ჯერ არ გამოუწვევია) მეოთხე წოდება. ამ ბრძოლაში ის წოდება უნდა დაიჩაგროს, რომელიც უკან-უკან იხევს. ე. ი. წარმომადგენელი ძველი ცხოვრებისა, სხვათა შორის თავად-აზნაურობა, და გამარჯვება უნდა დარჩეს იმ წოდებას, რომელიც უკან ხევის მაგიერ, მიდის წინ და უფერებს თავის ცხოვრებას ახალი დროის მოთხოვნილებას. ჩვენი, ერის ეკონომიური ვითარება უკვე დაადგა იმ გზას,

*) ამ მესამე წოდებას ალბათ ის თითებზე ჩამოსათვლელი კაპიტალისტები უნდა შეადგენდნენ, რომლებსაც თავის ფელეტონში იხსენიებს ბ-ნი ლალო! როგორ მოხდა, რომ ამ ათიოდე კაცმა მთელი წოდება შეადგინა? და თუ ამდენათ ყოჩაღები არიან ეს თითებზე ჩამოსათვლელი პირები, ალბათ მათ მეოთხე წოდებაც ეყოლებათ გვერდში ამოყენებული! არა ბ-ნო ლალო? ამ მეოთხე წოდებას კი ალბათ, თავის რიგზე, უკვე მოხსენებული ასიოთ უმიწა-წყლო პირები შეადგენენ?!.

*) იხილე მაგალითად ბ-ნ ნ. ჟორდანიას წერილი წარსულ წლის „მოამბეში“ „ეკონომიური წარმატება და ეროვნება.“

რომლითაც კარგა ხანია მოგზაურობს მთელი ევროპა და ამერიკა და შეუძლებელიც იყო, რომ ეს ასე არ მომხდარიყო, რადგანაც ჩვენ ცხოვრებაში არ იყო და არც არის ასეთი ძალები, რომელიც წინ გადალობოდენ და ან მომავალში გადაელობონ მთელი კაცობრიობის ცხოვრების ზედ გავლენას ჩვენს ცხოვრებაზე *)

აქედან ცხადათ ჩანს ბ-ნო ლალო, რომ, გარდა ზემოთ აღნიშნული განსხვავებისა. თქვენი და მესამე დასის შეხედულობანი ჩვენი ცხოვრების აწმყოზე ერთი უნდა იყოს **) და თუ ეს ასეა, მაშ რაღათ ესაყვედურებით , ან გ. წერეთელს, ან მესამე დასს, როცა იგინი მკითხველ საზოგადოებას უთითებენ ჩვენში უკვე ბრძოლის ველზე გამართულ ომს და თვითოეულს ურჩევენ საჭირო იარაღით აღჭურვას და ომში ჩარევას? ეგებ იმისთვის, რომ იგინი დაშოშმანების და მორიგების მაგიერ გვაფრთხილებენ და გვირჩევენ კიდეც ერთი მეორეს წინააღმდეგ გამკლავებას. დიახ, სწორეთ დიდი საყვედურის ღირსია ბ-ნ გ. წერეთელიც და მესამე დასიც, თუ იგინი მორიგებას შესაძლებელათ თვლიან და არ ცდილობენ მოარიგონ მებრძოლნი, მაგრამ გვიბძანეთ, როგორ უნდა მოიქცენ ისინი იმ შემთხვევაში, თუ ღრმათ დარწმუნებული არიან, რომ მებრძოლთა შერიგება შეუძლებელია? თუ ასეა, ისინი უეჭველათ უნდა მიემხრონ მათ, ვინც გამარჯვების ღირსნი არიან და მათთან ერთათ იბრძოლონ გამარჯვებამდის. არა ბ-ნო ლალო?

აი, დღეს ამით ვათავებ ბაასს ჩვენ მწერალთან და თუ ღირსი გავხდი პასუხისა ამ კითხვებზე, მაშინ სხვა რამეზედაც დაგეკითხებით მას.

ქართველი მკითხველი

---

*) იხილე იგივე წერილი ბ. ნ. ჟორდანიასი და აგრეთვე ნაწერები პეტრიძისა „კვალში“.

**) ბ-ნ პეტრიძემ ერთ თავის წერილში წარსულ წელს უკვე აღნიშნა აუცილებელი საჭიროება სტატისტიკური ცნობების შეკრებისა და შესწავლისა. მაშ აქაც თქვენზე ერთი წლით ადრე გამოთქვა ის მესამე დასის წარმომადგენელმა, რასაც დღეს თქვენ ლაპარაკობთ.

## ს ვ ი მ ო ნ ხ ე. ლ ი

(ისტორიული მოთხრობა)

### I

სპარსეთი 1578 წელსაც ისევ უწინდულათ ღელავდა. მართალია, ხუდაბანდი, ისმაილ-შაჰი რომ მოკლეს, მას შემდეგ, სპარსეთის ყაენათ იყო გამოცხადებული, მაგრამ ჯერ სულ რამდენიმე თვე არ გასულიყო, რაც ის მეფობდა და ბევრს—ვერ შეეთვისებინა ის აზრი, რომ ირანის მფლობელათ შეიქნა ეს საპყარი კაცი. იმასაც თავისი ძმის შაჰ-ისმაილის ბედი ეწეოდა, თუ დარაჯათ არა დგომოდა თავისი დედა შაჰ-თამაზის მეუღლე, მარეხი, ოთარ შალიკაშვილის ქალი. ამ აზრიანმა, ამ გამბედავმა ადამიანმა დასვა ხუდაბანდი ირანის ტახტზე. ირანის გამგებლობაც ახლა მარეხს და იმის ერთგულებს ეჭირათ ხელში.

ადვილი კი არ იყო ამ დროს ირანის მართვა; დიდ წინ დახედულობას, დიდ სიფრთხილეს ითხოვდა საქმე, როგორც თვითონ შუაგულ სპარსეთში, ისე სანაპიროებში. ეს აღონებდა დედოფალს. ახლაც მძიმე საქმისთვის მოეხმო იმას თავისი ერთგულები და იმათ ლოდინში ღრმათ ჩაფიქრებული იყო. შავ ტანისამოსში ქართულათ შემოსილ დედოფალს ქირმანის შალი ბეჭებიდან ჩამოცურებოდა, ჭაღარა ნაწნავების ბოლოებსღა ჰფარავდა, ძვირფასი გულის-ქინძისთავი ბრწყინავდა სუნელოვანი ზეთით სავსე ჭრაქების შუქზე, რომლებიც დიდ ვერცხლის შანდლებზე იყო დამაგრებულები. ქარვის კრიალოსანს ათამაშებდა, მსხვილი მარცვლის ჩახუნი მკაფიოთ გამოისმოდა. გაშლილი წერილი ედვა მუხლზე.

დედოფლის მოშორებით იჯდა ხალიჩაზე ღვდელი ზაქარია. ის საქართველოდან მოჰყვა მარეხს. თუმცა დედოფალმა მაჰმადიანობა მიიღო, ზაქარიას მაინც არ იშორებდა გვერდიდან, როგორც ვერც ის ღვთაებრივი ლამპარი ჩააქრო თავის გულში, რომელიც აეშუქებინა იქ ქრისტეს მოძღვრებას. ყაენიც თითქო ვერა ხედავდა მაჰმადის რჯულის ამ გვარ დარღვევას, რადგან ძალიან უყვარდა თავის მეუღლე.

— ვეწიე ჩემ სურვილს, ამისრულდა ნატვრა, დავსვი ჩემი შვილი ხუდაბანდი ირანის მფლობელათ, მაგრამ მაინც ვერ მომისვენია: სახელმწიფო ტახტს გამაგრება უნდა, ერთგული კაცების მოპოვებაა საჭირო. სანაპიროებიდან ცუდი ამბები მოდის: ხონთქარი საქართველოს აოხრებს, დაუთხანი კი განცხრომას მისცემია, ლალა-ფაშამ სპარსეთის სამზღვრები გადმოლახა. მართალია ქურთისტანში დამარ-

ცხდა ის, მაგრამ სამაგიეროთ თბილისი დაიჭირა,— თქვა დედოფალმა.

— და მოსრა იქ ქართველობა, შეაგინა იქ წმინდა ეკლესიები..., წარმოთქვა ათრთოლებული ხმით ზაქარიამ.

— ახლა შაქი-შირვანს შემოსევია, განაგრძო დედოფალმა. ეს ამბავი შინაურ მტრებსაც ფრთებს შეასხამს და.., ღმერთმა ნუ ქნას!.. საქმეს მიტანება უნდა... საჩინო ბარათაშვილი გამოცდილი კაცია, იმისი მონაწერი ჭკუაში მიჯდება, ოსმალეთი, მართალს ამბობს ის, საქართველოში უნდა დავამარცხოთო; მაშინ ჩემი სამშობლოც განთავისუფლდება, ირანსაც ზურგი გაუმაგრდება. სვიმონი ნიჭიერი სარდალია, იმისი ერთგულება ძვირფასი იქნება ჩვენთვის... იბრაჰიმს რამლის ყრა დავაბარე, ნეტა რა ამბავს მომიტანს? ან რას ნიშნავს ნეტა ეს ჩემი სიზმარი?

დარბაზის ერთ მხარეს ჩამოფარებული დიბის ფარჩა შეიძრა, ფარდის კალთა გაიხსნა, ფეხაკრეფით წამოდგა წინ მხევალი და მოახსენა:

– დიდებულო დედოფალო! იბრაჰიმი გიახლათ.

მარეხმა ანიშნა შემოეყვანათ მოგვი, იბრაჰიმი შემოვიდა, მდაბლათ მიესალმა დედოფალს და მოწიწებით დაჯდა, როდესაც დედოფალმა უბძანა დამჯდარიყო.

— ბრწყინვალე დედოფალო ირანისავ! აღვასრულე თქვენი ბძანება, ვყარე რამლი, გულდადებით დავათვალიერე ვარსკვლავების წყობა.

— მერე?

— საქართველოს ვარსკვლავი გაბრწყინდა, დაუახლოვდა ირანის მნათობს, შუქი შეჰფინა იმას, მერე უეცრათ შეირყა და ბინდი გადაეკრა.

ამის გაგონებაზე დედოფალს მღელვარება დაეტყო, მარცხენა ლოყა რამდენჯერმე აუთამაშდა, თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ მალე შეიკავა თავი.

— დიდება შენს განგებას, უფალო! ჩემი სიზმარიც იქნება მაგისთანავე ამბის მომასწავებელი იყოს. ვნახე, ვითომ სვიმონ მეფე თბილისში მეტეხის კლდეს გადმოდგომოდა შეიარაღებული. ამოღებული ხმალი უელავდა. ის ებრძოდა ვეშაპს, რომელიც გარს შემორტყმოდა მეტეხის ციხეს. ვეშაპის სისხლი ნაკადულივით ჩადიოდა მტკვარში. უეცრათ იმისი ხმალი და მარჯვენაც ბნელმა დაფარა. სვიმონმა დაიძახა: „ისევ აქ?; ისევ ესე?!“ მე შევკრთი და გამომეღვიძა.

— სვიმონს დიდება მოელის და ეს დიდება თვითონ სპარსეთისათვისაც სასახელო იქნება, მაგრამ ბოლოს ისეთი ამბავი შეუშლის იმას ხელს, რომელიც ერთხელ კიდევ გადახედია თავს, მიუგეს ერთხმათ ზაქარიამ და იბრაჰიმმა.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ისევ შემოვიდა მხევალი და მოახსენა, ვეზირი, საჭურისთ უხუცესი და საქართველოდან მოსული კაცი გიახლენო.

ახლად შემოსულებმა სალამი მისცეს დედოფალს და წარუდგინეს იასე ორბელიშვილი. შუა ხნის კაცი იყო, იმის ვაჟკაცურ სახეს მრისხანე გამოხატულობას აძლევდა ხმლის ნაკვალევი, რომელიც შუბლზე ალმაცერათ ჩაუდევდა. ორბელიშვილი თამამათ წადგა წინ, ხელზე აკოცა დედოფალს და მოახსენა:

— ბრწყინვალე დედოფალო მთელი სპარსეთისა, ბედნიერი ვარ დღეს, რადგან მეღირსა თქვენი პირისპირ ნახვა!

— მესიამოვნა, როდესაც წავიკითხე შენი მოსვლის მიზეზი. გვიამბე პირათაც: აქ სულ ტახტის ერთგულები არიან; გვინდა მოვისმინოთ, დავაკვირდეთ საქმეს, უთხრა დედოფალმა იასეს და უბრძანა ყველას დამსხდარიყვნენ.

— რასაც წერილით მოგახსენებენ საქართველოს დიდებულები, პირადაც იმას გევედრებით მე. ვიცით არ დაგვიწყებია სამშობლო, ვიცით, რომ ირანზე ნაკლებათ ირ გიყვარს ის. დღეს თქვენა ხართ საქართველოს იმედი, სვიმონ მეფე უნდა გაგვითავისუფლოთ. მხნე და გამოცდილი სარდალია. ჯერ ნეტარხსენებული ლუარსაბის დროსვე გაითქვა სახელი, მერე დაუთხანს, მოგეხსენებათ, რა ყოფა დაუწია. თავსაც გაიტანდა სამეფოს სადიდებლათ თუ ყორღანაშვილს, იმ იუდას, არ ეღალატნა იმისთვის. ხალხსაც ძლიერ უყვარს ის. უკეთეს ქართველებს თვალი აქეთ, ირანისაკენ უჭირავთ, სადაც დატყვევებულია ჩვენი იმედი. გევედრები, დედოფალო, აგვისრულე სათხოვარი, ჩემი პირით შენი მრავალტანჯული სამშობლო გევედრება, მოახსენა იასემ.

— მართალს ამბობ, საქრთველო არ დამვიწყებია. მიყვარს სპარსეთი, ჩემი ახალი სამშობლო, ჩემი შვილის სამფლობელო, მაგრამ მიყვარს საქართველოც, ჩემი აკვანი. მე ამ აზრისა ვარ: საქართველო უმცროსი ძმაა ირანისა, ამათ მხარი მხარს უნდა ჰქონდეთ მიცემული, უფროსმა მფარველობა უნდა გაუწიოს, უმცროსმა არ უნდა უმტყუნოს, სხვას არავის მიეხმაროს. თქვენ რაღასა ბრძანებთ? მიუბრუნდა მარეხი სხვებს.

— დიდებულო დედოფალო! ნუ დაივიწყებთ, რომ სვიმონ მეფემ სახელი სპარსეთთან ბრძოლაში გაითქვა, თქვა საჭურისთ-უხუცესმა.

—არა! საქართველოს მტრებთან ბრძოლაში! სპარსები ხომ მაშინ მტრები იყავით. მეგობრებისათვის კი სვიმონ მეფეც, მთლათ ქართველებიც თავს

არ დავზოგავთ. ჩვენ, ხომ ახლა იმასა გთხოვთ, ირანმა მეგობრობა გაუწიოს საქართველოს, მიუგო ალელვებულმა იასემ.

— მე ზედმიწევნით ვიცი ჩემი სამშობლოს წარსული. სპარსეთს საქართველო მარტო მაშინ მტრობდა, როდესაც სპარსეთი მოიწადინებდა შეერთებინა ის თავისთავთან. ნუ შეეხებით ნურც იმის რჯულს, ნურც იმის ხალხოსნობას, ნუ მოისურვებთ მოუსპოთ იმას საკუთარი არსებობა და მაშინ გამოცდით, რა ერთგული მეგობრობა იცის ქართველმა. დიდი ირანი დაიფარავს საქართველოს მძლავრი მტრებისაგან, პატარა საქართველო ზურგს გაუმაგრებს ირანს. ის თავის მდებარეობით მთლათ ერთი შეუვალი ციხეა მანამ ეს ციხე, სპარსეთისკენ იქნება, სპარსეთი ჩრდილოეთის მხრივ შეუვალია, მიუგო ზაქარიამ.

— მართალსა ბრძანებთ, ჩამოართვა სიტყვა ვეზირმა, საქართველო მეგობრათ უნდა ვიყოლიოთ, ირანის ჩრდილო საზღვრები იქ უნდა გავიმაგროთ: ვინც საქართველოს შემუსრავს იმისთვის ადვილი იქნება სპარსეთის დამცირება, რადგან მაშინ სპარსეთის საზღვრები კავკასიის მხრივ ღია დარჩებიან. აბა ახლა საქართველო ძლიერი და მეგობარი სახელმწიფო იყოს, თუ ლალა ფაშა გაბედავდა შაქ-შირვანში შემოსევას. მაგრამ საჭურისუხუცესიც ბრძნულ სიტყვას ამბობს: სანდო არის სვიმონ მეფე? ან ოსმალებს, ან სხვა ჩვენ მტრებს, რომ მიემხროს?

— არ შეიძლება ქართველი პირს გადავიდეს! მიუგო ორბელიშვილმა.

— სვიმონ მეფე პირს არ გატეხს, ხალხიც არ უყაბულებს ამას, დაუმატა ღვდელმა.

— ვცადოთ! ოსმალები თანდათან წინ მოდიან, მეტი ღონე არ არის. დიდი ფიცით კი უნდა შემოგვფიცოს ერთგულებაზე, თქვა საჭურისთ უხუცესმა

— ბრძენი კაცი ბრძნულ სიტყვას იტყვის, დაეთანხმა ვეზირი.

— ვხედავ თანახმა ხართ აუსრულოთ საქართველოს სათხოვარი. კარგი, თუ დიდებული შაჰიც დაგვეთანხმა. ბძანა დედოფალმა.

ბჭობა რომ გათავდა, დედოფალმა სტუმრები აივანზე გაიწვია. ფართო აივანი მარმარილოს სვეტებზე იდგა. იატაკიც მარმარილოსი ჰქონდა. აივანიდან განიერი კიბე ჩადიოდა ბაღში, საიდანაც სასიამოვნო სუნნელება მოჰქროდა და შადრევნის ხმა მოისმოდა. კიბეს აქეთ-იქით ბრინჯაოს ფასკუნჯები იწვენ. სვეტებს ბაღიდან ამოსული ვაზი აჰხვეოდა. აივანი ფერადი შუშის ფარნებით გაენათებინათ. ერთ მხარეს ორხუები ეფინა, ზედ ძვირფასი ბალიშმუთაქები ეწყო. შიგა და-შიგ სპილენძის დაბალი ტაბაკები იდგა ჩუქურთმით შემკულები. სტუმრები დედოფლის მოშორებით ისხდენ. მიწვეულებს უკან ხანგები იდგენ და მარჯვეთ, ხმა გაკმენდილნი ჩდილებივით მიდ-მოდიოდენ, ემსახურებოდენ. მოართვეს ოქროს სინებით ხილი, ტკბილეულობა. მოიტანეს შარბათი და სუნნელოვანი ღვინოები.

შექცევის დროს საუბარი ისევ საქართველოს და სპარსეთის ურთიერთობაზე ჩამოვარდა. დედოფალი უფრო დაწვრილებით კითხულობდა ქართველების ამბებს, მეტადრე სვიმონის ოჯახობის გარემოებას. რადგან სპარსეთშიაც ჩასულიყო ხმა, მეფის სახლობას უპატიურათ ეპყრობიანო. ბაასმა ახლა უფრო ნათლათ გამოარკვია, რომ ის გზა, რომელსაც დაადგა დედოფალი, კარგათ მოაზრებული გზა იყო. მხოლოთ ეშინოდათ ხუდაბანდი უარზე არ დამდგარიყო: კარგათ იცოდენ, რომ ის, როგორც უხასიათო კაცი, ხანდახან ძალიან გაჯიუტდებოდა, თუნდა საქმე ცხადი და მოსაწონი ყოფილიყო.

## II

სვიმონ მეფე ამ დროს სპარსეთის სატახტო ქალაქში ცხოვრებდა. შაჰ-ისმაილი რომ ტახტზე ავიდა, მაშინვე ბძანება გაგზავნა ალამუტის ციხეში, სვიმონ გაეთავისუფლებინათ და ყაენის კარს მიეყვანათ. ისმაილი მეფეს მაშინ გაეცნა და დაუმეგობრდა, როდესაც თითონაც და მეფეც ყალყის ციხეში იყვენ დაპატიმრებულები. სვიმონის ხათრით შაჰი სხვა ქართველებსაც კარგი თვალით უყურებდა: კახთ-ბატონის შვილი იასე გაათავისუფლა ალმუტის ციხიდან და თავისთან მიაყვანინა, გაათავისუფლა მუხრან-ბატონის შვილი არჩილ და კიდევ რამდენიმე სხვა ქართველი, რომლებიც ტყვეთ წაეყვანათ სპარსელებს. ისე, რომ სპარსეთში ახლა ქართველები შეგროვდენ და ამ ქართველების ნატვრა იყო სამშობლოში დაბრუნებულიყვენ სვიმონის წინამძღოლობით.

შაჰ-ისმაილის მოადგილე ხუდაბანდიც პატივსცემდა ქართველებს, კარგათ ეპყრობოდა იმათ, სამშობლოში კი არ უშვებდა. ახლა ყაენს აცნობეს ქართველების სურვილი, აუხსნეს რა სარგებლობას მოელოდენ სვიმონისაგან სპარსეთისათვის და თხოვეს გაეთავისუფლებინა ის, საქართველოს მეფობავე მიეცა.

— თუ სვიმონი მაჰმადიანობას არ მიიღებს, მე იმას მეფობას ვერ მივცემ. თუმცა ვენდობი კი, ვიცი იმის სიქველე და იმედი მაქვს დიდ მომხრეობას გაგვიწევს ხონთქართან ბრძოლაში. ასე რომ არ მოვიქცე, რჯულის წინააღმდეგათ დამსახვენ, დაუთხანი უსარგებლოა ჩემთვის. მაგრამ მაჰმადიანია, ქრისტიანზე ვერ გავცვლი, ბძანა ყაენმა.

არ იცოდენ თითონ მოეფიქრებინა ეს, თუ ჩაგონებული ჰქონდა ვისგანმე, მტკიცეთ კი იდგა ამ სიტყვაზე. ვერც დედის თხოვნამ და რჩევამ, ვერც ვეზირის მეცადინეობამ ვერა უშველარა. ეს იყო მიზეზი, რომ ქართველების დესპანს კარგა ხანი მოუნდა სპარსეთში ცდა.

როცა ყაენთან ვერა გააწყესრა, სვიმონს შეუჩნდენ, რჩევა დაუწყეს მიეღო მაჰმადიანობა. სვიმონი ჯერ დიდ უარზე იდგა: ერთი მხრით რჯულის გამოცვლა ეზიზღებოდა, მეორე მხრით შიშობდა, რჯული რომ გამოეიცვალოო, ქართველებმა, ვაი თუ პირი აღარ მიჩვენონო. ამისთანა მდგომარეობამ ძალიან დაანაღვლიანა სვიმონი, ძილი გაუკრთა, თრიაქის სმას უმატა.

— თუ რჯული დავიცვა წმინდათ, სამეფო ამიოხრდება, იქნება არსებობაც მოესპოს, თუ თავს ვიდვა სამეფოს დაცვა, რჯული უნდა გავტეხო, რადგან ამ პირობით, მარტო ამ პირობით მათავისუფლებენ, ფიქრობდა მეფე.

არ იცოდა ამ ორ წმინდა მოვალეობისაგან რომელი აერჩია — რჯულის დაცვა, თუ სამშობლოსი. ორივე ერთათ კი არ თავსდებოდა. თანაც გარემოებები ისე იყვენ მოწყობილები, რომ ბევრი ცდა და ყოყმანი აღარ შეიძლებოდა, რადგან დაუთხანის უაზრობამ ოსმალები ძლიერ წაახალისა, იმათი ურდოები დაუსჯელათ დანავარდობდენ საქართველოში და სპარსეთის ჩრდილო მაზრებში.

ამ გაჭირვების დროს მარეხმა ზაქარია მოძღვარს მიმართა. ზაქარია დიდი ხანი იყო სპარსეთში ცხოვრებდა. კარგა შეესწავლა სპარსული ენა და ბევრს კითხულობდა, რადგან ცხოვრების მხრით უზრუნველი იყო, წიგნები ხომ სასახლეში ურიცხვი ჰქონდათ. იმან გაიცნო ყყარანი და მაჰმადიანთ რჯულის სხვა წიგნები, გაიცნო ძველი სპარსული რჯული, შეისწავლა ინდოეთური მოძღვრებები, ებრაული რჯული და ქრისტიანული ღვთისმეტყველება, ხომ იცოდა და იცოდა. ის ადარებდა ამ სხვა-და-სხვა მოძღვრებებს ერთმანეთს და დაინახა, რომ ყველა რჯულის დედა აზრი ერთი და იგივეა, რომ ყველა ეს მოძღვრებები თავიანთ არსებითი ნაწილში ძალიან გვავან ერთმანეთს, რადგან ყველა ესენი აღიარებენ მიუწდომელ არსებას, რომელიც არის ყოველივე არსის შემოქმედი და დასაბამი კეთილისა. ყველა მოძღვრება იმასა თხოულობს ქმნილებისაგან, რომ ის უახლოვდებოდეს ზნით და მოქმედებით ამ ყოვლათ რთულ შემოქმედს.

ამ ყველა რჯულისათვის საერთო ჭეშმარიტების ქვეით იწყება გარჩევა მოძღვრებებში, აქვე იწყება ერთი ხალხის მეორე ხალხისაგან რჯულის მხრივ გაცალკევება, სიძულილი და ქიშპობა. მაგრამ ეს ხომ მეორე ხარისხოვანი და დროებითი მოვლენა უნდა იყოს, ბოლოს-და-ბოლოს ხომ ეს გარჩევები უნდა მოსპოს და იმ უმთავრესმა ჭეშმარიტებამ უნდა შეაერთოს რჯულის მხრივ მთელი კაცობრიობა, მაშინ შეიქნება ერთი სამწყსო და ეყოლება ერთი მწყემსი.

— თუ ეს ასეა, მაშ ბუნებით მაღალი და განვითარებული კაცისთვის რათ უნდა იყოს მომაკვდინებელი ცოდვა უარი ჰყოს მეორე ხარისხოვანი წესები რომელიმე რჯულისა, — მეტადრე მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს ისეთი კურთხეული საგანი, როგორიც არის თავის სამშობლო, თავის ერის დაცვა? და თავის ერის დაცვა, რომ წმინდა საგანია, ამას ხომ თითონ რჯულის მდებელი მოსე გვასწავლის; როდესაც ებრაელების ერი ცოდვებისათვის ქვეყნის პირიდან უნდა აღგვილიყო, მოსემ შეთხოვა ღმერთს იმისი სული შეეწირი მსხვერპლათ, იმისი სახელი ამოეშალა საუკუნო ცხოვრების წიგნიდან, ერისათვის კი ეპატიებინა შეცდომა, ერი კი დაეფარა დაღუპვისაგან, ფიქრობდა ზაქარია.

მოძღვარი ველარ ხედავდა ამ გვარი მსჯელობის ნაკლულევანებას, დავიწყებოდა, რამდენათ უსრული იყო კაცი, რა ნელი სვლა ჰქონდა განვითარებისაკენ, რამდენი საფეხური იყო მისთვის საჭირო, მანამ მიწვდებოდა, მანამ შეუერთდებოდა ყოვლათ სრულ შემოქმედს, ველარ ხედავდა, რომ ეს საფეხურები სწორეთ ის მოძღვრებები იყო, რომლებიც, როგორც კიბის საფეხურები იდგენ, ერთი მეორეზე მაღლა, — ველარ ხედავდა ყველა ამას და დაასკვნა ერჩია სვიმონისათვის აესრულებინა ყაენის სურვილი, მიეღო მაჰმადიანომა.

როდესაც ამ აზრით ზაქარია ეახლა სვიმონს, იმასთან არჩილ მუხრანბატონის შვილი იყო. თრიაქის მიღებას ემზადებოდენ. ზაქარიამ მოახსენა ჯერ მოესმინათ იმისი წინადადება. კარგ დროს მოვიდა მოძღვარი. სვიმონს და არჩილს სწორეთ ამავე საგანზე ჰქონდათ საუბარი და მეფე თითქმის დაეძლია სამშობლოს სურვილს. როდესაც მოძღვარმა განუმარტა ყველაფერი და ჰთხოვა მიეღო მაჰმადიანობა, შეეწირა თავისი სული სამშობლოსთვის, სვიმონს დიდი მღელვარება დაეტყო.

— თუნდ ეს ჩემი მსჯელობა ამაო იყოს, თუნდ მაცდურისაგან მქონდეს ეს ჩაგონებული, ეუბნებოდა მოძღვარი, მაინც გევედრები შეწირო შენი სული შენს სამეფოს! მე მომბაძე: მე შევწირე ჩემი სული ჩემ ქვეყანას, რადგან, თუ ეს ცთუნებაა, მე შენს მაცთუნებელს უფრო დიდი ცოდვა მიმიძღვის: უმჯობესიაო, იტყვის ღვთიური მოძღვარი, ლოდი მოიბას კისერზე და ზღვაში გადავარდეს ვინემ აცდუნოს ვინმე.

— მამაო, თუ შენ ერთი ხუცესი ვინმე, სულსაც კი სწირავ სამშობლოს, მე, საქართველოს მეფე ვერ ჩამოგრჩები უკან, მაგრამ ილოცე, ყველამ ილოცეთ მიიღოს საქართველომ ეს ჩემი მსხვერპლი! თქვა სვიმონმა.

— შენგან გათავისუფლებული საქართველო ერთხმათ შეევედრება მეუფეს შენს ხსნას! შეჰძახა ალტაცებით არჩილმა.

— შენს სულსა ჰდებ მთელი ყრისათვის, შენგან ხსნილი ერის ვედრება უკვდავათ გყოფს შენ! ხალხის ლოცვა გუნდრუკივით აეფინება საქართველოს მფარველს ღედოფალს და ის ამ ლოცვას სუნნელ მსხვერპლათ მიართმევს თავის უკვდავ ძეს! მიუგო ღვდელმა!

სვიმონმა თხოვა მოძღვარს დაელოცა ის უკანასკნელათ ამ მსხვერპლისათვის. ღვდელმა ამოიღო უბიდან ჯვარი, დაასვენა, სამივემ მუხლი მოიდრიკეს სიმონი იატაკზე დამხობილი ცხარეთ ტიროდა და მეფის ცრემლი ანგელოზებს თურმე აჰქონდათ ყოვლად მოწყალესთან.

ვ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

## „კვალი“ და მესამე დასის მწერლები

### (ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია)

წერილი პირველი

Тетеравамъ не летать по деревамъ.

შემდეგი *)

### II

მკითხველს, რომელიც სკეპტიკურის თვალით უყურებს ჩვენს საზოგადო შენიშვნებს ჩვენს ლიტერატურაზე, ვთხოვთ გადაათვალიეროს „კვალში“ პუბლიცისტიკური წერილები პ. პეტრიძისა. ჩვენ კი ვისარგებლებთ აქ იმ შვენიერი მასალით, რომელსაც გვიძლევნის თვით „მოამბე“ თავის სალიტერატურო შენიშვნებში (№ 10). „მესამე დასის“ ალმოჩენით „კვალმა“ საშინლათ განარისხა „მოამბე“. ჩვენ არ ვამართლებთ „კვალს“. თავისი პოლიტიკით მან დიდი და შეუწყნარებელი ულმობლობა გამოიჩინა განრისხებული მეზობლის წინაალმდეგ: „კვალმა“ არ ანუსხა სათითაოდ ახალი დასის წარმომადგენელნი და მით ჩააგდო თავისი შურიანი მოძმე იმ სასაცილო circulus virtiosus-ში, საიდანაც სამოწყალო კილოთი გამოიძახის: „განა ჩვენი თავმოყვარეობა აიტანდა ამ გვარ კადნიერებას—უჩვენოთ რალაც“ მესამე დასის ალმოჩენას?! ამისთვის „რაც მის—ახალ დასის“ შესახებ დაწერილია და რაც მის წარმომადგენელთ დღემდე უმოძღვრიათ, დიდის გულმოდგინებით (sic) გადავიკითხეთ და, ჩვენდა სამწუხაროდ (კურსივი ჩვენია) იმის მეტი ვერა შევიტყვეთ რა, რომ ამ ახალ თაობას „მესამე დასი“ რქმევია“ **).

სრული მონაწილე ვართ „მოამბის“ და მისი ღირსეული ვექილის ნ—ლის მწუხარებისა. ვეცდებით კიდევაც, ეს მწუხარება შეუმჩატოთ და რაც მათ „სამწუხაროთ“ ვერ უპოვნიათ, ვაპოვნინოთ. აქ ისევ ე. ნინოშვილიდან უნდა დავიწყოთ.

ჩვენი პირადი დაახლოვება ე. ნინოშვილთან იწყება შკოლიდან. აქვე, სამწუხაროთ, გაგვაშორა ერთმანეთს უბედურმა შემთხვევამ. ულმობელმა ცხოვრებამ დასცა თავში პატარა ეგნატეს თავისი მძიმე ჩაქუჩი და მოიმწყვდია ნორჩი ქმნილება თავის მორევის უფსკრულში. შემდეგ კი გარემოებამ ხელი მოგვიმართა და ისევ დაგვაახლოვა. ეს ის დრო იყო, როცა ცხოვრებასთან ბრძოლაში გამარჯვებული ეგნატე—ე. ნინოშვილად გადაქცეულიყო, როცა მის ბუნებრივ ნიჭს, მუხთალ ცხოვრების უკულმართობით დიდხანს დამარხულს,— ფრთები გაეშალა და როცა ის შედგომოდა იმ წმიდა წარუშლელის საქმის განხორციელებას, რასაც ჩემი სული და გულიც თანაუგრძნობდა და რასაც აგრე უეხტიბროთ დაცინის ჩვენი ცრუ ინტელიგენცია. აქედან პირუთვნელი მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზე—როგორც სხვა ყველა მის მეგობრებზე,—ნინოშვილის უდროოთ დაკარგვამ. ჩვენმა მწუხარებამ არ იკმარა მარტო მდუღარე ცრემლთა ფრქვევა, რალაც უხილავმა ძალამ, ჩვენდა უნებურათ აგვაღებინა ხელში ქალალდი და სამუდამოთ დაკარგულ მეგობრის ჯერ კიდევ გაუცივებელ გულზე გადმოგვალებინა მცირე ნაწილი ჩვენის დაგუბებულ წმინდა მეგობრულ გრძნობათა. ბ-ნ ნ—ლს, რომლის გაყინულ გულში, ეტყობა კარგა ხანია გამქრალია უკანასკნელი ნაპერწკალი წმინდა მეგობრული გრძნობისა, თავ-მომწონე ნა—ლს, რომელიც ენის წვერზე რიტორიკულათ მოკაზმულ და შეკერილ ლამაზ ფრაზებში, და არა გულის წმიდათა წმიდაში, ეძებს სათავეს მჭევრ-მეტყველობისას,— რა თქმა უნდა, არაფრათ ეჭაშნიკებოდა ჩვენ მიერ გამომჟღავნებული მეგობრული გრძნობა... ვერაფერი სამსახური გავუწიეთ, ძვირფასო მეგობარო, შენს სახელს მით, რომ ჩვენს გრძნობას ვერ მივაყოლეთ ფარისევლური ჭიკჭიკი... როგორც იცის მკითხველმა ბ. ნ „დამსწრემ“ გადიღო „კვალის“ ფურცლებზე მის მიერ ნახული ფაქტები ნინოშვილის დასაფლავებაზე. ახალ თაობას, რომელმაც წარმოთქვა დედა აზრი თავისი მიმართულებისა თავის მასწავლებლის უკდავი გვამის წინაშე, მან ახალი სახელი დაარქვა. *).

*) იხილე „კვალი“ № 9.

**) იხ. სალიტერ. შენიშვნები, „მოამბე“ № X.

*) ნინოშვილის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვათა შორის, ჩემში ბევრათ უფრო გარკვეულათ და ვრცლათ იყო დახატული ეგნატეს მიმართულება, მაგრამ ამ სიტყვებში, თუ მარტო ჩემი სიტყვა დაიბეჭდა, ამის მიზეზი სხვა-და-სხვა იყო, რაზედაც აქ ლაპარაკს ადგილი არა აქვს.

„კვალის“ შეუწყნარებელმა თავხედობამ გამოიყვანა ჩვენი პატიოსანი ინტელიგენცია სალათას ძილისაგან. ყურები ააცქვეტინა, ააყაყან-ააბრახუნა. „სად „კვალი“, სად რაღაც „მესამე დასის“ ალმოჩენაო—იწყო კიჟინი—ვინ ნინოშვილი, ვინ „მესამე დასის“ მეთაურობაო! მას თუ ნიჭი ეტყობოდა, ეს მარტო ბელეტრისტულიო“. ამ ყაყანს ბანი მისცა ჩვენმა დინჯმა „მოამბემ“. მან მომართა კიდევაც ისარი თავისი ნაფიცი ვექილის ბ-ნ ნ—ლის ხელით „კვალის“ და ნინოშვილის წინააღმდეგ*), ჩვენ კი მხოლოთ საფარათ გვიხმარა. მაგრამ აქ მოხდა ერთი სასწაული: გასროლილი ისარი რაღაც საოცრათ შეტრიალდა ჰაერში, ბოლოს პირი უბრუნა უკან და შიგ გულში დაეძგერა თვით „მოამბეს“. აქ ჩვენი ახალგაზდა მოხუცი, რომელსაც ძალიან ეხერხება კვალში ჩადგომა, „მეცნიერების და ლოღიკის საძირკველის გასინჯვა“, თავის მეცნიერული სიდინჯით გადმოგვძახებს: „განა შესაწყნარებელია მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ასეთ ცრუ-მორწმუნოებაზე და რაღაც სასწაულზე თუთიყუშივით ბოდვა? განა საფიქრებელია უკან დაბრუნდეს განზე გასროლილი ისარი?“—დიახ, ჩვენც ასე ვფიქრობდით, მაგრამ თვითონ თქვენმა სასწაულთ-მოქმედებამ შეგვიცვალა ეს ფიქრი. რომ იცოდეთ, რა სასწაულებას თქვენ ჰქმნით, ვფიქრობთ, არც ერთს წუთს არ დაიცდით ამ ჩვენს ცოდვილ ქვეყანაში—სადღაც შორს, შორს, თუ გინდ აფრიკაში გადაფრინდებოდით, რადგანაც იქ თურმე მეტი ფასი აქვს სასწაულებს!

მკითხველი. ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენი წარსული წლის ჟურნალ-გაზეთებისათვის, მიხვდება რაშია საქმე.

ნინოშვილის დასაფლავებას, თითქო განძრახ, თან მოჰყვა „მოამბის“ მეხუთე და მეექვსე ნომრებში წერილები: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რომელიც დამოკლის მახვილივით დაცქერის, როგორც თვით „მოამბეს“, ისე მთელი ჩვენი ყოყოჩა ინტელიგენციის მიმართულებას, ამ სტატიაში, რომლითაც იწყება ჩვენი აზრით, ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში, საკმაოთ გამოსჭვივის პროგრამა ჩვენი ახალის—დღეს „მესამე დასათ“ წოდებულის—თაობისა. ამ სტატიის ავტორი არის, როგორც იცის მკითხველმა ნიჭიერი წარმომადგენელი ამ ახალის დასისა. ეს ევროპული მეცნიერებით შეიარაღებული ჯერ სულ ნორჩი ახალგაზდა, ნინოშვილის უახლოესი მეგობარია. გადაშალეთ, მკითხველო, „კვალის“ მეოც-დაოთხე ნომერი, გადაათვალიერეთ ნ. ჟორდანიას წერილი „დაკარგულ მეგობრისადმი“ - ეს მეგობრულ გრძნობათა ანკარა ზღვა, გადმოხეთქილი ნორჩ გულის წმიდათა წმიდიდან და გაიგებთ, ვინ იყო და რა გავლენა ჰქონდა ნინოშვილს ახალ თაობაზე. გადაიკითხეთ ხელმეორეთ ბ-ნ პეტრიძის პუბლიცისტიკური წერილები („კვალი“ №№ 16, 17, 24, 25, 33, 34, 35) და ჩვენი ბედკრული „სიტყვა“ („კვალი“ № 22), გაისარჯეთ და შეადარეთ ისინი „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ს. განა არის მათ შორის რაიმე წინააღმდეგობა? ვფიქრობთ დიოგენის სანთლითაც რომ ეძებოს ნ—ლმა, ვერავითარი წინააღმდეგობა მათში ვერ იპოვოს.—ახლა ვიკითხოთ: 1) მაშ რათ უნდა ჩაეთვალოს „კვალს“ ცოდვათ ისეთი აზრის მოთავსება თავის ფურცლებზე, როგორსაც საპატიო ალაგი უჭირავს „მოამბეში“? 2) როგორ უნდა „მოამბეს“ შეურიგოს „ეკონომიურ წარმატებას და ეროვნებას“ თავისი პროგრამა: „ჟურნალს უნდა ჰქონდეს თავისი პროგრამა და მიმართულება, რომელთაც უნდა შეთანხმებოდეს ჟურნალში მოთავსებული თითოეული წერილი და თითოეული იქ გამოთქმული აზრიც“? ეს „მოამბის“ რომელ ნომერში, ან რომელი წერილია, რომელიც ეთანხმება „ეკონომიურ წარმატებას და ეროვნებას“? 3) რატომ ვერ გაიგო „მოამბემ“, რომ „კვალის“ წინააღმდეგ მომართული ისარი უკან დაბრუნდებოდა და გულში ეძგერებოდა? 4) როგორ მოუვიდა „მოამბეს“, რომ მთელი ნახევარი წლის განმავლობაში ახალ დასს „კვალი უშინჯა“, მაგრამ მისი ნიჭიერი წარმომადგენელნი, რომლებმაც უკვე აღნიშნეს ჩვენს ლიტერატურაში პროგრამა—მეცნიერულათ შემუშავებული,—მაინც ვერ შენიშნეს, და ჩვენ ჩაგვჭიდებია—ჩვენ, რომელიც არც გამოვსულვართ და ფიქრათაც არ მოგვსვლია სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა? მაშ მესამე დასის“ რომელი მწერალი გყავთ, ბ-ნო ნა—ლო, სახეში, როცა ამბობთ: „გონებრივი ავლა-დიდება მეტის-მეტათ ნაკლები აქვთ და თუთიყუშივით იმეორებენ, რაც აქა იქ ყურში სმენიათ და შეთვისებით კი ვერ შეუთვისებიათო“... „რომ უმეცრება, კადნიერება და მედიდურობა, რომელსაც „მესამე დასის მწერალნი იჩენენ, მწერლობაში ყოვლად შეუწყნარებელიაო“.

დეე, ყველა ეს მკითხველმა გასაჯოს. ჩვენ კი უნდა შევნიშნოთ აქ მხოლოთ ის, რომ „მოამბის“ და ნა—ლის ასეთი საქციელი გვაგონებს იმ ადამიანს, რომელიც თავის სახლობის ზნეობრივ ნაკლს კალთას აფარებს და სხვისი სახლის ჯუჯრუტანაში დარაჯობს, რომ მეზობლის ზნეობას ჩირქი წასცხოს.

ახლა კი გადავიდეთ ბ-ნ ნ—ლის საპოლიტიკო—ეკონომიურს მეცნიერებაზე.

ს. ჯიბლაძე

(დასასრული პირველი წერილისა)

*) ჩვენ ასე გვესმის სწორეთ „მოამბის“ საქციელი. თუ ჩვენ იმდენათ უნიჭო ვართ, რომ ნინოშვილის მიმართულება ვერ გავიგეთ, მაშინ რად ვუნდოდით ჩვენ ნინოშვილს, ან ის რათ გვინდოდა ჩვენ მეგობრათ. ბარბაროსები, რომელთაც ერთმანეთის არა ესმისთრა, არ კავშირდებიან, გვონებ, მტკიცე, მეგობრული კავშირით.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. цен. Тифисъ, 10-го Февраля 1895 г. (§) სტამბა მ. დ. როტინიანცისა () Тип. М. Д, Ротиніанца, Гол. пр., д № 41